EAST EUROPEAN UNIVERSITY

სტუდენტების დამოკიდებულება შიდა საუნივერსიტეტო ხარისხის კვლევებსა და გამოკითხვებზე - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მაგალითზე.

მზია კვინიკაძე
ბელა იმედაძე

თბილისი 2026

განსახილველი საკითხები:

- თემის აქტუალობა;
- კვლევის მიზანი;
- საკვლევი საკითხები/ამოცანები;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- კვლევის შედეგები;
- დასკვნა და რეკომენდაციები;
- გამოყენებული ლიტერატურა.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

სტატიის აქტუალობა

თანამედროვე უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ხარისხის სისტემატური შეფასება და გაუმჯობესება უნივერსიტეტების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტუდენტთა მოსაზრებებსა და გამოცდილებას, რადგან სწორედ მათი ჩართულობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას.

უმაღლესი სასწავლებლები რეგულარულად ატარებენ შიდა საუნივერსიტეტო გამოკითხვებს სწავლების ხარისხის, სასწავლო კურსების ეფექტიანობისა და აკადემიური გარემოს გასაუმჯობესებლად. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტთა ჩართულობა აღნიშნულ გამოკითხვებში დაბალია, რაც დაკავშირებულია როგორც ინფორმირებულობის ნაკლებობასთან, ასევე გამოკითხვების შედეგების რეალური ზეგავლენის მიმართ უნდობლობასთან.

სტუდენტური უკუკავშირი წარმოადგენს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მექანიზმს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტების დამოკიდებულების, მათი მონაწილეობის აღქმული მნიშვნელობისა და ნდობის დონის შესწავლა საუნივერსიტეტო გამოკითხვების მიმართ.

კვლევის შედეგები დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეიმუშაონ ეფექტიანი სტრატეგიები, რომლებიც გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას და გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროცესის შეფასების პრაქტიკას.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

საკვლევი თემის მიზანი

კლევის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა შიდა საუნივერსიტეტო გამოკითხვების მიმართ.

ამოცანები:

1.შეფასდეს, რამდენად მნიშვნელოვანად აღიქვამენ სტუდენტები საკუთარ მონაწილეობას შიდა საუნივერსიტეტო გამოკითხვების პროცესში.
2.განისაზღვროს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საუნივერსიტეტო გამოკითხვებში.
3.გაანალიზდეს, სტუდენტების მოლოდინები უნივერსიტეტის მხრიდან უკუკავშირის ფორმისა და შინაარსის მიმართ და შეფასდეს, რა გავლენას ახდენს ეს უკუკავშირი გამოკითხვების სერიოზულად აღქმასა და მონაწილეობის ხარისხზე.
4.შემუშავდეს რეკომენდაციები საუნივერსიტეტო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობისა და ნდობის ზრდას შიდა საუნივერსიტეტო გამოკითხვების პროცესში.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა 2005 წელს დაინერგა და მას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ხელმძღვანელობს. სისტემა ორიენტირებულია გარე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე, რაც მოიცავს ავტორიზაციას (ინსტიტუციური შეფასება) და პროგრამულ აკრედიტაციას (საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება).

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი: რეგულირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები და სტანდარტები უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის მნიშვნელოვნების პოპულარიზაციას მის ანალიზსა და შეფასებას.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

ლიტერატურის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში უმნიშვნელოვანესია მათი შესაბამისობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საკვალიფიკაციო სტანდარტებთან. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი აკადემიური გარემოს შექმნა, სადაც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. შეფასების მექანიზმები უნდა იყოს მკაფიო და სამართლიანი, ხოლო სწავლების პროცესში გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდები.

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის სტანდარტების შესაბამისად, სტუდენტები აღიქმებიან, როგორც განათლების პროცესის აქტიური მონაწილეები და პარტნიორები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. საქართველოში, რომელიც 2005 წლიდან ბოლონიის პროცესის წევრია, განათლების რეფორმები მიმართულია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდისკენ.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

კვლევის მეთოდოლოგია:

- საკითხის კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ფართო მასშტაბით შეგროვებას და მათ სტატისტიკურ ანალიზს. ეს მეთოდი გამოირჩევა მაღალი სანდოობით, ობიექტურობით და მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობით, რაც საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ სტუდენტების დამოკიდებულებები უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების მიმართ.რაოდენობრივი კვლევის მთავარი უპირატესობა არის მისი შესაძლებლობა, ერთდროულად შევაგროვოთ მონაცემები დიდი რაოდენობის რესპონდენტებისგან, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ ტენდენციები, კავშირები და განსხვავებები ცვლადებს შორის. სულ გამოიკითხა 20 სტუდენტი.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

კვლევის შედეგები

რა სიხშირით მონაწილეობთ საუნივერსიტეტო კვლევებსა და გამოკითხვებში?
20 responses



გიფიქრიათ, რომ გამოკითხვის შედეგები უნდა გასაჯაროვდეს?
20 responses



გჯერათ, რომ საუნივერსიტეტო კვლევების შედეგები რეალურად აისახება უნივერსიტეტის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე?
20 responses



EAST EUROPEAN UNIVERSITY

კვლევის შედეგები

კვლევის მონაწილეებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს სტუდენტთა აქტიური ჩართულობის აუცილებლობაზე როგორ
მონაცემების შეგროვების, ისე შედეგების ანალიზისა და პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესში, რაც ხაზს უსვამს მათ
მზაობას, გახდნენ კვლევითი პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები. განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტების მოსაზრება კვლევების სისტემურობისა და სერიოზულობის გაძლიერების საჭიროების შესახებ, რაც უნდა გამოიხატოს შედეგების გამჭვირვალობით, საჯაროობითა და მათი პრაქტიკული გამოყენებით უნივერსიტეტის პოლიტიკის ფორმირებაში.

EAST
EUROPEAN
UNIVERSITY

კვლევის შედეგები

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა ნაწილი მხარს უჭერს კვლევებში მონაწილეობის გარკვეულწილად სავალდებულო ხასიათს, თუმცა ამავდროულად ხაზს უსვამს მოტივაციის ამაღლების მნიშვნელობას, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას როგორც აკადემიური აღიარებით, ისე სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების ხედვა ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაციის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას და მათი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას უნივერსიტეტის განვითარებისთვის.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

დასკვნა

- ✓ შიდა საუნივერსიტეტო კვლევები და გამოკითხვები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უნივერსიტეტების პოლიტიკისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. საუნივერსიტეტო შიდა კვლევების ანალიზი ავლენს, რომ სტუდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კვლევითი პროცესის ხარისხს, გამჭვირვალობასა და შედეგების პრაქტიკაში გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი, ლექტორების კვალიფიკაციის შეფასება და სტუდენტური გარემოს გაუმჯობესება.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

რეკომენდაციები

-შემუშავდეს კვლევების რეგულარული და სისტემატიზებული ჩატარების მექანიზმი;

-დაინერგოს შედეგების შეფასების გამჭვირვალე სისტემა;

-უზრუნველყოფილი იყოს კვლევის შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობა;

-შეიქმნას სტუდენტთა მოტივაციის წამახალისებელი მექანიზმები;

-შემუშავდეს უკუკავშირის ეფექტური მექანიზმები;

-განხორციელდეს რეგულარული ანგარიშგება მიღწეული შედეგების შესახებ;

-გაძლიერდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა;

EAST EUROPEAN UNIVERSITY

გამოყენებული ლიტერატურა:

ESG. (2015). Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG). 32. Retrieved from https://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (n.d.). Retrieved from https://eqe.ge/ka/page/parent/581/umaghlesi-ganatlebis-khariskhis-uzrunvelqofa

მერაბიშვილი, ნ. (2018). სტუდენტთა ჩართულობა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში. თბილისი. Retrieved from https://press.tsu.ge/data/image_db_innova/+++Ph.D.%20merabishvili.pdf

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, მიდგომები გამოწვევები და შესაძლებლობები. (2019). თბილისი: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. Retrieved from https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf

EAST EUROPEAN UNIVERSITY

გმადლობთ ყურადღებისთვის !

EAST
EUROPEAN
UNIVERSITY